№ 177. აგვისტოს 15, ოთხშაბათი. 1866—1884 აგვისტოს 15, ოთხშაბათი. № 177.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზარეთის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—6 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე სრულ ერ ერ კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულის გამო ხვალ ხუთშაბათს გაზეთი არ გამოვა.

მევობარნი განსვენებულის მასწავლებელის ალექსანდრა ივანეს ასულის მაკარიძისა. აუწყებენ ნაცნობებთ მის გარდაცვალებას და მოიწვევენ დღეს 15-ს აგვისტოს დილის 10 საათზედ გამოსასვენებლად თბილისის საავადმყოფოდგან. (1—1)

შინაური ჟრონიკა.

═ ნინო-წმინდიდგან გვატყობინებენ, რომ ერთს იქაურს გლეხს მიწაში ჩაულული სამი ქოთანი უპოვნია, სამწუხაროდ, ცარიელები. ქოთნები თავის-თავად შესამჩნევს არაფერს წარმოადგენენო, მაგრამ მათთან ერთად ნაპოვნი სპილენძის ხანჯალი და შუბი კი ინტერესს მოკლებულნი არ არიან. როგორც ეტყობა, ეს ნივთები ძალიან ძველი დროისი უნდა იყოსო, ამბობს კორესპონდენტი.

═ გაზეთს «ნოვოე ვრემიაში» ეკითხულობთ, რომ პიატიგორსკის მახლობლად, სტ. ძაგალნიცკში ახლად ამოუჩენიათ „მინერალიანი წყლები“. საზოგადოდ მთელი ძავკაზია მდიდარია მინერალებით და მათ აღმოსაჩენად მხოლოდ ნასწავლი, განვითარებული ხალხი ეჭირვება, რომლითაც, სამწუხაროდ, ჩვენი სახემწიფო ისე ღარიბია.

═ ჩვენ შევიტყეთ, რომ ცხეთის საზოგადოებას უკვე გადაუწყვეტია ცხეთაში სკოლა გახსნას და ამ გარდაწყვეტილების განაჩენი ჩაუბარებიათ ბ. მრევლიშვილისთვის, რომლისთვისაც ეს მიუნდვიათ წარუდგინოს წერაკითხვის გამავრცელებელის საზოგადოებას მართველობას და იჩრუნეოს სკოლის ჩქარა გახსნისთვის.

═ ცხეთიდგანვე გვწერენ, რომ ამას წინად გავრცელებული საქონლის ჭირი და ფრინველების ხოცვა ეხლა მოისპო. მცხოვრებლებს ორას თუმნამდინ ზარალი მოუვიდათო და საკვირველია, რომ თბილისზედ ასე ახლოს მდებარე სოფლისთვის ყურადღება არავის მიუქცევიაო.

═ ოკრიბიდამ იწერებიან, რომ აგერ ერთი წელიწადიაო, რაც ტყიბულისკენ რკინის გზის შტოს აკეთებენ და ვერ დაუსრულებიათო. მუშებად ბერძნები, თათრები და ლეკები დაუყენებიათ. მუშაობა თურმე ძალიან სუსტად მიდის უთუოდ უფულობის გამო, ჯამაგირსაც მუშებს რიგზედ ვერ აძლევენ; ამიტომ დამშეული თათრები და ლეკები მოსვენებას არ აძლევენ გამველელ-გამომველელს და ათას უწესოებას ახდენენ. ამას წინად ამ ავაზაკებმა მოჰკლეს ერთი საცოდავი გლეხი ილია ბრეგვაძე. მთავრობის განკარგულებით ლეკებს და თათრებს იარაღი აჰყარეს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ თავისას არ იშლიან.

═ სოფ. წევიდამ (შორაპნის მახრა) ჩვენ გვწერენ შემდეგს: „წლევანდელი იარმუკობა გათავდა რამდენიმე უბედური შემთხვევით. თოკიდან თავდახსნილი ავაზაკები შეუვარდენ სახლში გლეხს ბესია ბაჩეჩილაძეს და სული მთლად გაფხიკეს მისი ოჯახი. ავეჯეულობის გარდა, წაულიათ ოთხმოცი მანათი ფული. აგრეთვე გლეხი დათია ბაჩეჩილაძეს სახლში რომ ვერა უპოვნიათ რა, სტუმრების ტანისამოსი წაულიათ და ჭურიდგან ღვინო მოუპარავთ. ამ ნაირმა ქურდობამ, როგორც პირველმა მაგალითმა, ძალიან აღელვა ხალხი.

═ იქიდამვე გვწერენ, რომ ადგილობრივი სკოლის საქმე კარგად მიდისო. მასწავლებელი თუმცა ამ საქმისათვის დიდი განათლებისა და მომზადების პატრონი არ არის, მაგრამ მუყაითად და ბეჯითად ექცევა თავის საქმესაო.

═ გაზეთს „ძასპში“ სწერია, რომ ბაქო-თბილისის რკინის გზაზედ, ძიურდამირის სტანციაზედ, სტოროჟს და სტრელოჩნიკს გაუხსნიათ ერთი ცალი და ხალიჩები მოუპარავთ და თბილისში გამოუგზავნიათ. ცალის გაჭრა მალე შეუტყვეს და ქურდები გამომძიებელს ჩააბარესო.

═ დღეს, 15 აგვისტოს, სიონთა ღვთის-მშობლის დღეობა არის და, «ძავკაზის» სიტყვით, ამ დღეს მწირველი ეგზარხი იქნებაო.

═ ამავე გაზეთში ეკითხულობთ ერთი კაცის საჩივარს თბილისელ ექიმებზედ, რომელნიც ძნელად სთანხმდებიან ღამე ავადმყოფთან წაჰყვნენ. აი რასა სწერს უსახელო ავტორი: «ამ დღეებში მთელი ღამე მომიხდა ექიმის ძებნა, რადგანაც ლედა მოუოდნელად ავად გამიხდა. იმ ღამეს უკანასკნელი ექვსს ექიმთან მაინც მ�ელ, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე პასუხით უკან მაბრუნებდენ. ძარის გამლები ბიჭი პირველად იმას მკითხავდა: ვიცნობდი ექიმს, თუ არა? და რაკი შეტყობდა, რომ იმისი პაციენტი არა ვარ, მაშინვე მეტყოდა: „მაშ იმათი ნახვა არ შეიძლება» და კარებს მომიხურავდა. ბოლოს, იმედ-გადაწყვეტილი შინ დავბრუნდი, იძულებული ეუბე შინაური წამლები მეხმარა და გულის ხეთქით მელოდნა გათენებისთვის.»

ძავკაზი მართლად შენიშნავს, რომ მთელი დღე მუშაობაში მყოფი კაცისაგან, რომელიც შინ დასასვენებლად დაბრუნებულა, — ღამეც სამსახურის გაწევა ძნელი დასავალებელიაო, მაგრამ ჩვენის მხრით არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ, რაკი კაცი თავის თავზედ ექიმობის მოვალეობას აიღებს, გაჭირვებაც რაოდენიმე მეჯი უნდა

«დროების» ტელეფონი, აგვისტ. 15

ბიბლიოგრაფია

ქართული წერის დედანი, ნაწილი პირველი, შედგენილი ვ. გაბიჩვაძისაგან.

(დასასრული*)

თავის დედნის ბადე ძლიერ მოსწონს ბ. ბაბიჩვაძეს, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც შემცდარია.

ბატ. ჯუღელმა და პ. უმიკაშვილმა თავიანთ დედნებში რვა-რვა მწოლარე ხაზი ჩასთვალეს საჭიროდ. მაგრამ ეს ძლიერ გადამეტებულია. ბატ. ბაბიჩვაძე სჯერდება ოთხს ხაზსა. ესეც შეორე უკიდურესობაა და ამ შეცდომაში შეუყვანია იგი რუსული წერის ბადის მიხედულობას. რუსული ასოები მართლა ოთხ ხაზშიაც იწერებიან; მაგრამ ამ გარემოებას მხოლოდ მაშინ ექმნებოდა ჩვენთვის ძალა, როდესაც ჩვენსა და რუსულს ანბანს შორის დაახლოებითი მსგავსება არსებობდეს. ნამდვილად კი მათ შორის ეხედავთ არამც თუ განსხვავებას, პირდაპირს წინააღმდეგობას. მთელი რუსული წერითი ალფავიტი შესდგება შუალა ასოებისაგან, რომელნიც ორ ხაზს შუა იწერებიან, მხოლოდ სამიოდე ასო გადასცდება ხოლმე ამ ხაზებსა და ისიც მცირე ოდენ მანძილზედ. ჩვენს ანბანში კი შუალა ასო მოიპოება მხოლოდ ოთხიოდე (ა, თ, ი, ო), დანარჩენები კი შეადგენენ ამ ზემო, ან ქვემო ასოებსა. ქვემო ასოები თავდებიან ალმა რკალით, ზემო ასოები უმეტესად იწყებიან ან რკალით და ან რგოლით. მიუცილებლად საჭიროა, ბავშვმა პირველ ხანებში ბეჯითად იცოდეს, რა სიდიდე მისცეს ამ რკალსა და რგოლებსა, საიდგან დააწყოს და სად შეაჩეროს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ბევრჯელ შესცდება, ბევრჯელ მისცემს ასოების თავსა და ბოლოს შეუსაბამო და უშნო სიდიდეს. ამაში ის ბევრს დროსაც დაჰკარგავს და გვარიანი ხელის შეწყვალასაც გაიძნელებს, რადგანაც ყოველს შეცდომას აქვს მიდრეკილება გამეორებისადმი. ერთი ძირითადი კანონი პედაგოგიისა ამბობს: ერიდე შეცდომასაო. ისე საჭირო არსად არ არის სასტიკად დაცვა ამ კანონისა, როგორც სწავლის დასაწყისში. თუ ბავშვმა რავდენჯერმე უშნო, უკანონო ასოები დასვა, მისი ხელი დაეჩვევა მათ ცუდად წერასა და შემდეგში ძნელად გადაეჩვევა. ბატონი ბაბიჩვაძის ბადე ფართო გზას უშლის ბავშვების ხელებს მრავალ შეცდომათათვის. მარტივიაო, აქებს ბატ. ბაბიჩვაძე თავის ბადესა. მარტივი ბადე მაშინ არის კარგი, როდესაც თვითონ ანბანი მარტივია. თუ ანბანი რთულია, ბადეც რთული უნდა იყოს. როგორც ტანისამოსს ტანზედ სჭრიან, ისე ბადეც ზედ ანბანზედ უნდა იყოს გამოჭრილი. ჩვენს ასოებს სამი უმთავრესი ნაწილი აქვთ: თავი, შუა წელი და ბოლო. ბადე უთუოდ უნდა უჩვენებდეს ბავშვს, რა სიდიდე მისცეს არა მარტო შუა წელს, არამედ თავსაცა და ბოლოსაც. ამ მოსაზრების ძალით ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ექვსი ხაზი ბადისათვის. მართალია, ცოტა არ არის ჭრელი ხასიათი ეძლევა ბადესა, მაგრამ რას იზამ, თუ კი თვითონ ჩვენი ანბანიც ჭრელია. სიჭრელის შესუსტებისათვისაც არის ერთი ღონისძიება: დახაზულს რვეულებში შეიძლება მეორე და მეხუთე ხაზების მაგივრად პატარ-პატარა წერტილები გამწკრივდეს.

ბატ. ბაბიჩვაძე ბძანებს, გამოცდილებით ვიცით, რომ ბავშვები ექვს ხაზიან ბადეში იბნევიანო. ჩვენში ბოლოს ხანს ერთობ ხშირად ხმარობენ გამოცდილებას, პრაქტიკას ფარხმალად ცრუ აზრების დასამტკიცებლად და ჭეშმარიტი აზრების დასარღვევად, სწორედ ისე, როგორც გამოცდილებით, პრაქტიკით შუა-საუკუნოებში ამტკიცებდენ ზოგი ადამიანების კუდიანობასა და სწავდენ ცეცხლში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საერთო-გონიერი გამოცდილება ყველასათვის არ არის შესაძლებელი. აქ საჭი-

*) იხილე „დროება“ № 171.

იკისროს, მით უფრო, რომ მათი შრომა საკმაოდ ჯილდოვდება.

„დროების“ კორესპონდენცია

ბორჯომი აგვისტოს 9. ძიდევ ველირსე ბორჯომის ნახვასა. დიდი სურვილი მქონდა დაწერილებით ამეწერა ბორჯომი ისტორიულის მხრით და რომლისათანავე, ის-ის იყო მოვკიდე კალამს ხელი, მაგრამ ერთმა ჩემმა ნაცნობმა პოეტური ჩემი აღტაცება უნაყოფოდ დამირჩინა. საქმე ის არის, რომ ბ. ნადეჟდინს თავის შედგენილ წიგნში მოსწავლეებისათვის: «ბუნება და ხალხი ქავკასიაში და ქავკასიის გარეშე» ვრცლად აღუწერია ბორჯომი და ამისთვის მე საუმჯობესოდ შევრაცხე, ისტორიულის აღწერის მაგივრად, ერთი ორი სიტყვა უამბო მკითხველებს ბორჯომის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ.

ეტყვიან: «ზოგი ჭირი მარგებელიაო». მართალიც არის, საფრანგეთში ხოლერა რომ არ გაჩენილიყო, მაშინ ბორჯომი ვის მოაგონდებოდა. შარშან ნახევარზედ მეტი სახლები კარ-ჩაკეტილნი იდგნენ და სასტუმროს ნომრები თითქმის ცარიელები რჩებოდენ. წრეულ კი იმოდენი ხალხი შეგროვდა, რომ არსად არ არის თავისუფალი ალაგი და ბევრნი მომსვლელთაგანი ისევ უკან ბრუნდებიან. არა მგონია, რომ ყველანი მიდიოდენ ბორჯომში საექიმოდ. ვისაც ეუცქერი, თითქმის ერთობით უცხო მადაზედ არიან, ლამაზად სჭამენ, სვამენ, სძინავთ, დროს ატარებენ და თუმც იშვიათად ვისმესაგან გაიგონებთ ამოკვნესებასა, ეს იმას ნიშნავს, რომ მეტის-მეტი სიმსუქნე ნებას არ აძლევს თავისუფლად, ან მარდად ნაბიჯები გადაადგას.

ივლისის დამლევი და აგვისტოს დამდეგი შესანიშნავი იყვნენ მშვენიერის ტაროსებით, და არც იმისთანა სიცხეები იდგა, რომ უთუოდ გულის სილონე წარმომდგარიყო; მაგრამ ადამიანი არა დროს არ არის კმაყოფილი თავის მდგომარეობისა, და ამ მიზეზის გამო ბევრნი სჩიოდენ, ეითომც საშინელი სიცხე და მტვერი გულს გვიწუხებსო. ამგვარმა საჩივარმა ალბად გამოიწვია ის სიცივე და წვიმები, რომლის გამოისობითაც საზოგადოება მოაკლდა მუდამ სეირნობასა და საზაფხულო ტანისამოსის ჩაცმასა.

რომ წრეულ ბორჯომში დიდი საზოგადოება არის, ეს იქიდამაცა სჩანს, რომ ერთმა კონცერტმა ოთხასი მანათი შამოიტანა. განსაკუთრებით დიდი მოსავალია პატარა ყმაწვილებისა. ახალ-გაზდა ქალები ძლიერ შეღონებულნი დადიან, ამიტომ რომ კავალერები ნაკლებად არიან. ბურთი და მოედანი დარჩათ გიმნაზისტებს და თბილისის კორპუსის მოსწავლეებს. უნდა მოგახსენოთ, ქორფა-კავალერები უკან არ ჩამორჩებიან დიდებსა და სულით და გულით ცდილობენ, რომ თავ-თავიანთი დამები გაართონ სხვა-და-სხვა ბაასითა.

პარკში ყოველ დღე მუზიკა იკვრის. ქვირაში სამჯერ-ოთხჯერ ტანცაობენ, რამოდენიმე ვეჩერი არის დადებული პატარაებისათვის და რამოდენიმე დიდებისათვის. მშვენიერი ჰაერი, წმინდა ქუჩები, იმგრგვლივ მწვანით შემოსილი ბუნება, თვალ-მიუწვდენელი მთები, ერთის სიტყვით — ენით გამოუთქმელი მშვენიერება ბორჯომის მდებიარობისა გულს უნდა ულხენდეს ადამიანს, მაგრამ მეორე ან მესამე დღეს დაბინავების შემდეგ უნებურად გრძნობთ რაღაც დარდსა. მე მგონია, რომ ერთი მხოლოდ ბუნების სიმშვენიერე საკმაო არ არის გულის მოსალხენად. სადაც საზოგადოება დაცალკევებულია, იქ რა ლხინი იქმნება.

აქ ვერავის ვერ ნახავთ იმისთანას, რომელსაც ხელში წიგნი არ ეჭიროს. შეცრივ იტყვით, რომ ყველანი კითხვაში გართულნი არიანო, მაგრამ შესცდებით ამგვარი მსჯელობითა. არც ერთმა არ იცის, რას კითხულობს, რადგანაც მათი აზრი და ფიქრი სხვა საგნებზედ არის გარდატანილი. «ჭამა, სმა, ძილი და კავალერი» — აი ეს უმეტეს სასურველია მათთვის, ვიდრე თავის მტვრევა უსარგებლო წიგნების კითხვითა.

თვრამეტ ვერსზედ ბორჯომიდგან, აღმოსავლეთის მხრით, ნახავთ ერთ პატარა სოფელს, Цагвერს. ამ სოფლის ახლო სდგას ერთი ძველი საყდარი, რომელიც შესანიშნავია მით, რომ ეს თოთხმეტი წელიწადი მიმდინარეობს, რაც მოხსენებულ საყდარში სცხოვრობს ერთი სამოც-და-ათის წლის რუსის სალდათი. ოც-და-ხუთის წლის სამსახურის, შემდეგ პირ-და-პირ რუსეთიდგან ჩამოსულა და იქ დაბინავებულა სულის საცხოვნებლად. ეს საყდარი სდგას საშინელს მიყრუებულ ალაგას. გასაკვირვია, როგორ გასძლო ამ სალდათმა ამგვარ საშინელ ნოტიო და უდაბურ ალაგში! ჩვენ რომ მივედით, სალდათი იდგა და დიდის მოწიწებით კითხულობდა სამლოთო წერილს რუსულ ენაზედ. გამოლაპარაკების შემდეგ, იმან გვიამბო, რომ „მე თითონ ვასრულებო მღვდლის და დიაკვნის თანამდებობასაო, დილით ცისკარს, თერთმეტ საათზედ წირვას და საღამოზედ მწუხრს მუდამ ელოცულობო და ღმერთს დიდად ვმადლობო ამგვარი გაცალკევებული ცხოვრებისათვისაო.“

აი ჭეშმარიტად ბერული ცხოვრება. ვისაც უნდა სული იცხოვნოს, ამგვარი ალაგი უნდა ამოირჩიოს და ამნაირ გულ მოდგინედ უნდა ლოცულობდეს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ბერებს არ მოსწონთ საზოგადოების გარედ ცხოვრება და ლოცვასთან ქვეფიც უყვართ.

წრეულ როგორღაც სიკვდილმა მაგრად მოჰკიდა ხელი მასწავლებლებს. აქ ბორჯომში გარდაიცვალა წარსულს კვირას ლიხაჩოვი და ჭუთაისში — ბალავინი. ლიხაჩოვი ინსპექტორი იყო ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა. ამბობენ, ბალავინი დიდის ცერემონიით გაასვენესო, ყოველად სამღვდელო თავის კრებით იყოო და დიდმა საზოგადოებამ პიტივისცემა გასვენების დროს მართალია, ბალავინი ძველის ენის მასწავლებელი იყო, მაგრამ ყველას უყვარდა. საწყალი ლიხაჩოვის გასვენებაზედ ისე გასწყდა ხალხი, რომ კუბოს ამწევი კაცი ვერ იშოვნეს. ბ. მხრუნველი იანოვსკი და დირექტორი საოსტატო ინსტიტუტისა იმ დროს რომ არ დასწრებოდენ, დასამარხავ ფულსაც ვერ იშოვნიდენ, რადგანაც ერთი გროში არ დარჩენია განსვენებულს.

გ. მაწყვარიანი,

სოფ. ნინო-წმინდა. (იკრის სკოლიდან). «უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწვეაო», ამბობს ხალხური ანდაზა. სწორედ ნამდვილ ჭეშმარიტებად გადაიქცა ეს ანდაზა ნინო-წმინდელებისათვის!

ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ხალხის ცხოვრებისათვის, ის ადვილად მიხვდება, რომ ჩვენი ხალხის კეთილ-მდგომარეობა ღვინისა და პურის მოსავალზეა დამყარებული. ჩვენს კაცს თუ პური და ღვინო საკმაოდ აქვს, სხვა ნაკლულოვნებას ადვილად შეურიგდება, და თუ ეს ცხოვრების საშუალებანი სასყიდელი გაუხდა მაშინ მისი ოჯახი ძრიელ უკან დაიწევს და სიღარიბეში ჩავარდება; სხვა წყარო ჯერ-ჯეროობით არა გვაქვს-რა.

ჩვენდა საბუხაროდ, ნინო-წმინდელებს, როგორც წინადვე მკითხველებს შეტყობილი აქვსთ, წელს პურის მოსავალი ძრიელ ნაკლები მოუვიდათ; ისე ნაკლები, რომ სამს ოთხს თვემდის რო გასწვდეს დიდი საქმე იქ-

---

როა გამჭრიახი გონება, რომელსაც შეეძლოს დააფასოს მოვლენანი, შეიგნოს მათი ბუნება, გაარჩიოს შემთხვევითი ელემენტები მიუცილებელ ელემენტებისაგან, სუბიეკტიური შეხედვები ობეკტიურისაგან და დაადგინოს საგნებზედ ნამდვილი რეალური შეხედულობა. წინაალმდეგ შემთხვევაში, გამოცდილების მაგიერ, შეუსაბამო ოცნებანი შეგვრჩება ხელში. ამიტომ, როდესაც რომელიმე პირი თავის საკუთარს გამოცდილებას უდგამს ბოძად რომელსამე მოსაზრებას, ჯერ უნდა დაგვარწმუნოს, რომ იგი მოკლებული არ არის იმ პირობათა, რომლებზედაც არის დამოკიდებული საღი და უტყუარი გამოცდილება. ბატ. ბაბიჩვაძემ ორჯელ შეადგინა ქართული წერის დედანი, საკუთარს გამოცდილებაზედ დამყარებული, და ორივე გამოცემა გამოვიდა მეტად უხერხო და უცნაური. აქედგან აშკარად სჩანს, თუ რაოდენად არის იგი მომზადებული გონივრული გამოცდილებისათვის და რა ფასი უნდა დავსდოთ მის მოსაზრებათა, რომელნიც სურს გაამართლოს საკუთარის გამოცდილებით.

ოთხი ხაზი უფრო მომეტებულს თავისუფლებას აძლევს ბავშვსა წერაშიო, ვიდრე ექვსი ხაზიო, ბძანებს ბატ. ბაბიჩვაძე. თუ თავისუფლობაზედ მივარდა საქმე, ერთსაც და მეორესაც სრული უხაზობა ემჯობინება. ჩვენის აზრით, ექვს-ხაზიანი ბადე სწორედ იმდენს თავისუფლებას აძლევს წერაში, რავდენისაც მორევა ბავშვს შეუძლიან პირველს თვეებში; ოთხ ხაზიანი ბადე კი ფართო გზას უშლის მახინჯი ასოების წერასა და მრავალს შეცდომეებსა. როგორც ჭოჭინა არ უშლის ბავშვის თავისუფალს მოძრაობას, არამედ უფრო სწრაფად ამზადებს ამ გვარს მოძრაობისათვის, ვიდრე იგი მოემზადებოდა უჭოჭინოდ, ეგრეთვე ანბანზედ ზედ გამოჭრილი ბადე უადვილებს ბავშვებს ლამაზი ხელის შეთვისებასა, სწრაფად ამზადებს მარჯვე და თავისუფალი კალმის ხმარებისათვის. რაც შეეხება ბავშვების დაბნევას, ეს პირველს დღეებში მოსდით ყველა დაბნეულს ბავშვებს ყოველ გვარი ბადის ხმარების დროსა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მასწავლებელი ხერხიანად და ჩაგონებით არ აუხსნის ბადის ვითარებასა და ხმარებასა. ყოველს შემთხვევაში მეორე-მესამე დღეს მთელი კლასი ეჩვევა ასოების კანონიერად ჩაწერას ბადეში და რიგიანად მიჰყავს საქმე.

თუ ყურადღებით ჩააკვირდებით ბატ. ბაბიჩვაძის დედანსა, დარწმუნდებით, რომ საზღვრების ჩვენება, თუ საიდგან უნდა დაწყობილ იქმნას თავი ასოებისა და სად უნდა იქმნას გათავებული მათი ბოლო, საჭიროა არამცთუ ბავშვებისათვის, თვით ზოგიერთა დედნის შემადგენელი კალიგრაფებისათვისაც. ბატ. ბაბიჩვაძეს მ და შ-სათვის მომცრო თავი მოუბამს, ზ, ჩ და წ-სათვის უფრო მოზრდილი. ძვემო ასოებში მხოლოდ ერთს, სახელდობრ ჯ აბია ზომიერი, მოკლე კუდი, რომელიც ქართულს შრიფტს შეეფერება; ყველა სხვა ქვემო ასოებისათვის კი მოუბავს ვეებერთელა, მაღალი კუდები და დაუმგზავსებია რუსული у და д-სათვის. ბს უკანონო და უშნო უთანასწორობა მოსვლია ერთი მხრით უცოდინრობით და მეორე მხრით იმიტომ, რომ თვალს მოუტყუებია ზომაში. თუ თვით ბატ. ბაბიჩვაძეს ბადის სიმარტივემ ასე შეუშალა ხელი, რავდენად მომეტებულად შეუშლის ხელს ეს სიმარტივე ხამს ბავშვსა, რომელიც პირველად იღებს ხელში კალამსა?!

რასაც ბავშვი დღეს ისწავლის, ის ხვალაც უნდა გაიმეოროს ახალს შესწავლილთან ერთად, თორემ დაავიწყდება და წარმატება მისი შეუძლებელი შეიქმნება. ბამეორება დედაა სწავლისაო, ამბობდენ უწინ დაწინაურებულნი პირნი და იმეორებენ ახლანდელი პედაგოგებიც. ამ მოთხოვნილების ძალით ყოველი ასო, რომლის დაწერაც ბავშვმა დღეს შეისწავლა, შემდეგს გაკვეთილშიაც უთუოდ უნდა ერიოს. ეს მოთხოვნილება ● ყოველს გვარიანს დედანში სასტიკად

ნება. ბედმა ეს უბედურება არ აკმარა და ზედ დაურთო მეორეც; მე ვამბობ არა სასიამოვნო სტუმარზე — «ყვავილზე», ამ სამაგალითოს და არა სანატრელ ჭირზე, რომელიც მთელ სოფელში მოდებულია და ძრიელაც ჰმუსრავს ყმაწვილებს. თუმცა სულ ორი კვირა არ იქნება რაც ეს სნეულება გაჩნდა ორ პატარა სოფლებში, ნინოწმინდაში და ახბულახში მაგრამ მსხვერპლი კი ბევრი შეიწირა: 28 ივლისიდგან 10 აგვისტომდინ ე. ი. ამ თოთხმეტ დღეში, თხუთმეტს ყმაწვილს გამოჰკრა სიკვდილის ცელი. ყვავილი უფრო და უფრო ვრცელდება სოფელში და თუ შემცირება არ ელირსა მაშინ ეს პატარა სოფლები სამტირალო მდგომარეობაში ჩაცვივიან. სენი არა მცირდებაო, რადგანაც შველას არსაიდგან მოველით. ან საიდგან უნდა შემცირდეს როდესაც თითონ თავის თავზედ ზრუნვას შეჩვეულნი არა ვართ და სხვები-კი ბევრს თავს არ იტკივებენ. აი რა საშუალებასა ხმარობენ აქაურები ყვავილის წინააღმდეგ: ბაზმას უკმევენ «ყვავილის ანგელოზებს», და «იავ-ნანას უმღერიან... ბაზმის კმევას, როგორც ჰაერის გასასუფთავებელს საშუალებას კიდევ რაიმე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მოწყობილს გალობას-კი მაგდენი არაფერი. რას უზამს იქ უბრალო დამამშვიდებელი გალობა, სადაც ენერგიული საშუალება უნდა ვიხმაროთ... და დიდის ვედრებით ეხვეწებიან «ყვავილის ანგელოზებს», რომ იკმაროონ თავიანთი გულის-წყრომა და ახლასხვაგან სადმე გაისეირნონ!

მადლობა კიდევ ჩვენს ბუნებას, რომელიც მშობლიურის მბრუნველობით გვაცილის და თითქმის ყოველ გვარს ავადმყოფობას ეწინააღმდეგება და ებრძვის, თორემ აქაც ჩვენი სინსილაც-კი აღარ იქნებოდა.

ა. ბ.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

მოგვეცით საშუალება თქვენის საპატიო გაზეთის შემწეობით შემდეგი გამოვაცხადოთ:

ზოგიერთი თბილისის ქუჩები იქამდის საჭიროებენ განათებას და გასწორებას, რომ ბნელა ღამეში, თუ კარგი გამოცდილი მოსიარულე არა ხართ, გავლა არ შეგიძლიანთ. აედრიანს დღეებში ამოღრმავებულს ადგილებში გუბდება წყალი, შიგ ერევა მტვერი და სხვა უწმინდურება და ისეთი ტლაპო დგება, რომ გავლა ყოვლად შეუძლებელი ხდება. მერმე ამას დაადგება ცხარე მზე და შრობასთან ერთად ისეთი საშინელი სუნი ამოზდის, რომ კაცს სულსა ხუთავს. ყველაზედ უმეტესი უწმინდურება «რიყეზედ» არის, სადაც საქონელს აყენებენ და საკმაო ყურადღებას კი არ აქცევენ, რომ გაასუფთაონ.

მე მგონია, რომ გარდა იმ უხერხულობისა, რომელიც ამ ქუჩებში მოსიარულეთ აწუხებს, არც კარგა მყოფობის დასაცველად უნდა იყოს სასარგებლო ამისთანა მდგომარეობა. ცუდი არ იქნებოდა, რომ ქალაქის მართველობას ამ საგნისთვის განსაკუთრებითი ყურადღება მიექცია და თავის თავის კარგად მყოფობაზედ მაინც ეფიქრა.

ამას არ შეგვიძლიან არ დაუმატოთ კიდევ იმ ოთახების უსუფთაობა, რომელიც აქვ რიყეზედ არიან დამართულნი მომსველელ-წამსველელის სადგურად.

ბევრჯელ ერთს «ნამცქრიელა» ოთახში, სადაც მაღალი კაცი სწორედ ვერ გაიმართება, ბნელსა და ნოტირსგან აშმორებულში, რამდენიმე კაცი ერთადა სდგანან და უფრო მომეტებულად სწამლავენ. ისეც წამხდარს, მავნებელს ჰაერს.

ძარგია, ვისაც შეძლება აქვს მდიდრულს სასტუმროებში დაიჭიროს ბინა და თავიდგან აიცდინოს ამგვარს სახლებში მესაძლოდგან საცდელი, მაგრამ რა უნდა ჰქნას იმისთანა ღარიბმა კაცმა, რომელიც თვეში ორჯელ მაინც ჩამოდის ქალაქში და თავის შრომით მთელს სახლობას ინახავს?

ივანე გელიაშვილი.

უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა ხილისა და ყურძნის არაყის ხდის ახალი წესების შესახებ.

წესდებულებანი

საზოგადო დებულებანი.

I. ქვემო მოყვანილი წესები მოქმედობენ მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ჰხდიან არაყს სხვა-და-სხვა ხილისას და ყურძნისას, სახელდობრ: ქაკასიაში, ბესსარაბიის, ტავრიზის და ხერსონის გუბერნიაში, დონის ლაშქრის სამფლობელოში და ტურქესტანში.

ს ხ ო ლ ი ო. ფინანსთა მინისტრს მინდობილი აქვს ეს წესები ამოქმედოს სხვაგანაც, სადაც კი დაარსდება ხილის სპირტის ხდა.

2. ხილისა და ყურძნის სპირტის გამოხდის ზავოდები არიან ორ გვარნი: მეარყეებისა (საალებ-მიცემო) და ვენახის მეპატრონეთა ზავოდები, მათ შორის განირჩევიან გაუმჯობესებულნი და უბრალონი. ვენახის მეპატრონეთა ზავოდს უწოდებენ იმისთანას, სადაც სპირტს ხდიან იმ ბალის მოსავლიდამ, რომელიც თვითონ ზავოდის პატრონს ეკუთვნის, და მეარყეებისას იმისთანას, სადაც სპირტს ჰხდიან გარდა ამ საკუთარის ბაღის მოსავლისა აგრეთვე ნაყიდ ხილისისაც. უბრალო ზავოდი არის ამისთანა, სადაც სპირტის გამოსახდელი აპპარატი ცხელდება პირ-და-პირ ცეცხლზედ და შესდგება ქვაბისაგან და უბრალო გეჯაში გატარებულ საცივესაგან, და არ ეხება ბობს სხვა არავითარი მოწყობილობა სპირტის რექტიფიკაციისა და დეფლამაციისათვის ან გამოსახდელ მასალის წინადვე გათბობისათვის. ზაუმჯობესებული ზავოდი კი არის იმისთანა, რომელსაც აქვს ყველა ეს მომართულობა.

ს ხ ო ლ ი ო. უბრალო მეარყეების (საალებ-მიცემო) ზავოდები შეიძლება იქონიონ მხოლოდ ქაკასიაში, ყირიმის ნახევარ—კუნძულზედ და დონის ლაშქრის სამფლობელოში, ისიც დროებით. რაკი გავა ვადა, რომელიც დანიშნულ იქმნება ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ და ადგილის გარემოებათა მიხედვით, ამ გვარი ზავოდების მოქმედობა ანუ ახლად დაარსება დამოკიდებული იქმნება ფინანსთა მინისტრის განსაკუთრებულ ნება-რთვაზედ.

3. წესები, მოხსენებულნი საარყო ბაჟის წესდებულების 124—128 და 140 მუხლებში და დადგენილნი პურის არაყის ზავოდებისათვის, იმოქმედებენ აგრეთვე ყურძენ-ხილეულ სპირტის ზავოდებზედაც, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ ზავოდებში დასამჟავებელ ჭურჭლის მაგიერა წყულ უნდა იქმნენ საარაყო ქვაბები; გარდა ამისა, უბრალო ზავოდებისათვის საჭირო არ არის პლანის წარდგენა.

4. ქვაბების სიდიდის გასაზომათ აწყულ უნდა იქმნას, როგორც თითონ ქვაბი, ისე ზარფუში, ვიდრე საცივემდე.

(შემდეგი იქნება)

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსა“)

აგვისტოს 13-ს

პეტერბურგი. ხოლერის შემოტანის წინააღმდეგ გასაფრთხილებელ საკანონმდებლო ბრძანებულებაზე ... ბ ... ...

ლებლად აგვისტოს 15-დგან ნება ეძლევათ სამზღვარზედ გადმოსვლისა მხოლოდ იმ მგზავრთა, საფრანგეთსა და იტალიიდგან მომავალთა, რომელნიც წარადგენენ ადგილობრივ ჩვენ მთავრობის მიერ მოწმობას, პასპორტზე დაწერილს იმის შესახებ, რომ ისინი მოემგზავრებიან სალ ადგილებიდამ ანუ იმის შესახებ, რომ სამ დღეს გაუვლია მასუკან, რაც გამოსულან ავადმყოფობით მოდებულს ადგილებიდამ; აღკრძალულ იქმნა აგრეთვე შემოტანა გაესუფთავებლის ძველ-ძველისა, ნახმარის ტანსაცმელისა და საცვალისა, უკეთუ ყოველსავე ამას დეზინფექცია არ ექნება გამოვლილი.

რომი. რამდენსამე დღეს ხოლერიან ადგილებში ძალიან ცოტანი ხდებოდენ ავად, ხოლო აგვისტოს 23-დგან (11 რიცხვს) ხოლერა გაძლიერდა; დიდის ავდარის შემდეგ უეცრად გაჩნდა იგი: სპეციაში გახდა ავად 70 კაცი, მოკვდა 48; ბუსკში სამს დღეში 108, მოკვდა 58, ტურინში მოკვდა 5, ბერგამოში 11, მილანში 2, ნეაპოლში 1, ქენევაში (გენუაში?) მოკვდა რამდენიმე კაცი.

14-ს აგვისტოს.

პეტერბურგი. გაზეთს „რუსის უწყებას“ მიეცა ნება ცალკე ნომრების გასყიდვისა.

ფუჩეუ. საფრანგეთის ჯავშნიანმა გემებმა წეხელის ზღვიდგან მდინარეში შევიდენ მაგრამ ჩინეთის ფლოტმა კრუპის ზარბაზნებიდგან სროლით უკუ აქციეს.

ლონდონი. ფუჩეუდგან იწერებიან; რომ საფრანგეთის სალდათებმა გაცარცვეს საფრანგეთის საკონსულო შენობა (?) და იწყალებდენ ყუმბარების. სროლის ჩინელების გემებს რომელნიც იდუნებოდენ.

რომი. აგვისტოს 24. სენით მოდებულს ადგილებში სულ 56-ტი შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა. ამათ რიცხვში 31-ტი მოკვდა. სპეციაში სულ 9-რა კაცი გახდა ავად და ქალაქს სამხედრო კორდონი შემთავრეს.

განცხადებანი

პატივის-ცემით ვაუწყებ

ბათუმისა, ფოთისა და ქუთაისის საზოგადოებას და ქ. ქუთაისის გარეშე მცხოვრებელთაც, რომ მუდამ ესცხოვრობ ქ. ქუთაისში, ალექსანდრესა და ნემენცების ქუჩის კუთხეზე ხითაროვის სახლებში, სასტუმრო «ბათუმის» პირ-და-პირ, საცა ყოველადვე განვაგრძობ კბილის ტკივილით შეწუხებულ ავადმყოფების მიღებას მოსარჩენად და ხელოვნურის კბილების ჩასასმელად.

კბილის ექიმი ზენრიხ დიდე რაუმანი, წევრი პარიჟის კბილის ექიმთა სამედიცინო ფაკულტეტისა. (3—2)

ინლისური რკინის კრატეები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ფეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდეკ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკრაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, თეადნოსი, დასადგმელი, პირსასაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თუბშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ადვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, შიუები, ზარიდები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, ვამფეტები, ბიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—39)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი				მოსკოვის ჩაის			
		1 მ.	10 კ.			1 მ.	40 კ.
—	—	1	20	—	—	1	60
—	—	1	40	—	—	1	80
—	—	1	60	—	—	2	,,
—	—	1	80	—	2	—	50
სუფთა		2	,,	—	3	—	,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაფტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ფეკლადფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, კიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—52)

უნალიერი ახალი მხატვრობით მომავალის სეზონი სათვის მიღებული ბლომად და სხვა-დასხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული. (30—26)

გამოვიდა და ეყიდება
ეროვნული ბიბლიოთეკა
განკარგულები

მოთხრობა

ა. მ. მაჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ბ. რ. ჩარკეიანის მაღაზიაში.
ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

აღწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—15)

ვაჭრობა საღებავებით

ქავკასიის ამხანაგობისა (ბრაჭის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

საღებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვირებლად. (70—40)

ინლისურ ინ

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი ფური რუსეთის ფქვილისა	—1	გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა	—1	გ.	2½
მეორისა	—1	გ.	2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
პირველი ხარისხის	—1	გ.	4½
მეორისა	—1	გ.	3 კ.
მესამისა	—1	გ.	2½
ჯვარის-მამი ფური:			
პირველი ხარის. ლავაში	1	გ.	4½
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	3½
მესამისა	—1	გ.	3 კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	გ.	8 კ.
მეორისა	—1	გ.	7 კ.
სუკი . . .	—1	გ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	—1	გ.	8 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	გ.	— კ.
მეორისა	—1	გ.	— კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ ⁊ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დღ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 14 Августа 1884 г. სტამბა პრ. ალექსანდრაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი